სტუდენტთა ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში

№1, აპრილი, 2017

Student Journal of Social Sciences

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სტუდენტების ნაადრევი ქორწინებისადმი დამოკიდებულების კვლევა

მედეა გიგაური

სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
E-mail: medea.gigauri@gmail.com

რეზიუმე

ადრეული ქორწინება მიჩნეულია ზოგადად ადამიანის და კერძოდ - ბავშვთა უფლებების დარღვევად, რადგან ბავშვებს, თავისი ასაკიდან გამომდინარე, არ შეუძლიათ მისცენ ქორწინებაზე თავისუფალი, წინასწარი და ინფორმირებული თანხმობა. ჩემი კვლევის მიზანი სტუდენტების ნაადრევი ქორწინებისადმი დამოკიდებულების შესწავლა იყო. აღნიშნული მიზნის შესაბამისად, ჩამოვაყალიბე შემდეგი ამოცანები: 1. რომელ მიზეზებს მიიჩნევდნენ სტუდენტები ნაადრევი ქორწინების მაპროვოცირებლად; 2. რამდენადაა სტუდენტებში გაცნობიერებული ნაადრევი ქორწინების უარყოფითი მხარეები; 3. როგორია სტუდენტების დამოკიდებულება ქართულ საზოგადოებაში გავრცელებული სტერეოტიპების მიმართ. გამოკითხულ რესპონდენტთა მოცულობა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის 90 სტუდენტი იყო, ხოლო გამოკითხვის მეთოდი - ანკეტირება. კვლევის საფუძველზე გამოვლინდა, რომ ნაადრევი ქორწინება სტუდენტებისთვის მიუღებელია, რადგან ისინი აცნობიერებენ ადრეული ქორწინების თანმდევ პრობლემებსა თუ მოსალოდნელ ნეგატიურ შედეგებს. გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა ის ფაქტორები, რომლებსაც სტუდენტები ნაადრევი ქორწინების მაპროვოცირებლად მიიჩნევენ: მშობლების კონტროლისგან გაქცევის სურვილი, ტრადიციები, აღმსარებლობა, ნამდვილი სიყვარულის პოვნა, პარტნიორის ფეხმძიმობა, სექსუალური ცხოვრების დაწყების სურვილი. გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა თანხმდება, რომ გოგონებს ხელი ეშლებათ განვითარებასა და თვითრეალიზაციაში, ისევე, როგორც ახლო ურთიერთობაში მეგობრებთან. სტუდენტები თვლიან, რომ ნაადრევი ქორწინება იწვევს სოციალურ, ფიზიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ პრობლემებს. კვლევამ გამოავლინა, რომ სტუდენტთა დამოკიდებულება, ხშირ შემთხვევაში, მნიშვნელოვნად განსხვავდება საზოგადოებაში გავრცელებული აზრისაგან და ნაადრევი ქორწინებისადმი ცალსახად უარყოფითია.

საკვანძო სიტყვები: ნაადრევი ქორწინება, ბავშვთა უფლებები, სტერეოტიპები, ქორწინების მაპროვოცირებელი მიზეზები, ტრადიციები.

შესავალი

ადრეული ქორწინება მოუგვარებელ პრობლემად რჩება ბევრ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც. გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მონაცემების მიხედვით, მსოფლიოში 18 წელს მიუღწეველი დაახლოებით 14 მილიონი გოგონა ქორწინდება ერთი წლის განმავლობაში, 38 000 - ერთ დღეს და 13 - ოცდაათ წამში (გაეროს მოსახლეობის ფონდი, 2013).

ამავე მონაცემებით, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, საქართველოს აქვს ნაადრევი ქორწინების ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, ისევე, როგორც მოლდოვას (19%) და თურქეთს (14%). საქართველოში მცხოვრები

ქალების 17%-მა სრულწლოვნების მიღწევამდე შექმნა ოჯახი. ადრეული ქორწინების პრობლემა საქართველოში საკმაოდ აქტუალურია და გარკვეულწილად გენდერული უთანასწორობით, ეთნიკური და რელიგიური ფაქტორებით არის დეტერმინირებული.

მიუხედავად იმისა, რომ ადრეული ქორწინების უარყოფით შედეგებზე ყველა თანხმდება, საქართველოში ადრეული ქორწინების მიზეზების, მასშტაბებისა და შედეგების შესასწავლად სიღრმისეული კვლევა არ ჩატარებულა. ამის მიზეზად სტატისტიკური მონაცემების სიმწირე სახელდება. როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კვლევის ავტორები, გაეროს მოსახლეობის ფონდის წარმომადგენლები აცხადებენ, სტატისტიკური მონაცემები ვერ იქნება სრული, რადგან ნაადრევი ქორწინება ხშირად არ არის ოფიციალურად დარეგისტრირებული - 16 წლის ასაკს მიუღწეველი პირი ოფიციალურად ვერ შეძლებს ქორწინების დარეგისტრირებას. აქედან გამომდინარე, ინფორმაცია დარეგისტრირებული ქორწინებების რიცხვის შესახებ, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, საკმარისი არ არის ნაადრევი ქორწინების ტენდენციების გამოსავლენად (გაეროს მოსახლეობის ფონდი, 2013).

ზემოთ აღნიშნული კვლევის თანახმად, ადრეული ქორწინება განსხვავებულ ზეგავლენას ახდენს გოგონებსა და ბიჭებზე, ამიტომ შესაძლებელია ის განვიხილოთ გენდერული უთანასწორობის ჭრილში. მსოფლიოში ადრეულ ქორწინებაში მყოფი ბიჭების რაოდენობა გაცილებით ნაკლებია გოგონათა რაოდენობაზე. ადრეული ქორწინების შემთხვევაში როგორც ბიჭები, ასევე გოგონები ხშირად იძულებულები არიან შეწყვიტონ განათლების მიღება სკოლაში, დაიწყონ მუშაობა და დაკავდნენ საოჯახო საქმეებით. ამრიგად, ადრეული ქორწინება არის სოციალური ინტეგრაციის შემაფერხებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი.

ლიტერატურის მიმოხილვა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1108-ე მუხლით ქორწინების ასაკად დაწესებულია 18 წელი, 2017 წლის 1 იანვრამდე სასამართლოს ნებართვით დასაშვები იყო ჯერ 16–18 წალმდე, ხოლო შემდგომ 17–18 წლამდე პირების ქორწინება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1108).

არასამთავრობო ორგანიზაციის „ჟურნალისტთა ქსელი გენდერული თანასწორობისთვის“ მიერ 2015 წელს გამოქვეყნებული სტატია „ნაადრევი ქორწინება - სოციალური ინტეგრაციის შემაფერხებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა“, მიმოიხილავს გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მიერ ჩატარებულ კვლევას, რომლის მიხედვითაც არასრულწლოვან (18 წელს მიუღწეველი) გოგონათა დაქორწინების რიცხვი წელიწადში 14 მილიონია, რაც საქართველოში ქალების 17%-ს წარმოადგენს. სტატიაში ასევე განხილულია ნაადრევი ქორწინების შედეგები, რაც განათლებისთვის თავის დანებებას გულისხმობს და ხაზგასმულია მოცემული საკითხის გენდერული ასპექტები. გოგონების მეტი რაოდენობა იმყოფება ნაადრევ ქორწინებაში, ვიდრე ბიჭების. ამის

მიზეზად, გაეროს მოსახლეობის ფონდის კვლევაში დასახელებულია ტრადიციული ნორმების ძლიერი გავლენა და ქორწინებამდე სქესობრივი თავშეკავება, ასევე, სქესობრივი განათლების პრობლემა.

თეონა ნოზაძე სტატიაში ,,ნაადრევი ქორწინების მიზეზი და შედეგები" (2013) განიხილავს ფსიქოლოგების დამოკიდებულებას ნაადრევი ქორწინებისადმი:

ხშირად გოგონას იმიტომ ეჩქარება გათხოვება, რომ საკუთარი მშობლებისგან ოჯახური სითბოს ნაკლებობას გრძნობს და სურს, ამ გრძნობის კომპენსაცია საკუთარი ოჯახის შექმნით მოახდინოს; ახალგაზრდაზე მშობლები ხშირად გადამეტებულად ზრუნავენ. უფროსები მას აღიქვამენ და ექცევიან, როგორც პატარა ბავშვს. ოჯახის შექმნის მოთხოვნილებას ამგვარი მზრუნველობისგან გაქცევის სურვილით ხსნის; არსებობს ფიზიკური ლტოლვა, რომელსაც სიყვარულის გრძნობაში ურევენ; ადრეულ ასაკში ოჯახის შექმნის არც თუ იშვიათი მიზეზია დაორსულება (ნოზაძე, თ., 2013, აბზ.2).

ამ თემას ეხმიანება ნინო ხარშილაძე სტატიაში ,,ნაადრევი ქორწინება ქართულად" (2014). ავტორი განიხილავს ნაადრევი ქორწინების შედეგებს, ყველაზე ხშირად კი ის განქორწინებაა.

ადრეული ქორწინება დიდ რისკებს შეიცავს და უმეტეს შემთხვევაში დასანგრევად არის განწირული, ვინაიდან ამ ასაკში ადამიანი ჩამოყალიბებული არ არის. მას თავისი ფასეულობები მყარად არ აქვს გათავისებული. ეს არის ძიების პროცესი. ადამიანი საკმაოდ გვიან ხვდება, ვინ არის და რა სურს. ეს ასაკი დაახლოებით 24-25 წელია. ადრე შექმნილი ოჯახი შეიცავს ადრე დანგრევის რისკებს, რადგან ადრე შექმნილი ოჯახის საფუძველი, ძირითად შემთხვევაში, არის სექსუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილება (ხარშილაძე, ნ., 21.01.2014, აბზ.3).

ხათუნა ჩიგოგიძის სტატიაში ,,ნაადრევი ქორწინება და 10 ძროხაზე გაცვლილი ქალიშვილი" (2014) განხილულია გოგონების გარიგებით გათხოვების ტრაგიკული ისტორიები. ავტორს სტატიაში ფსიქოლოგ მანანა სონღულაშვილის მოსაზრება მოჰყავს, რომელიც აღნიშნავს:

ანალოგიური ფაქტები ხშირად ხდება აზერბაიჯანულ სოფლებში: არასრულწლოვან გოგონებს გაცილებით უფროს კაცებზე ათხოვებენ. მართალია, ანგარებით გათხოვება ქართულ ოჯახებშიც ხშირია, მაგრამ 10 ძროხაში და 20 ცხვარში მაინც არავის გაცვლიან. ხშირად მოზარდი იძულებულია უფროსების აზრს ანგარიში გაუწიოს და თვისი ნების საწინააღმდეგო ნაბიჯი გადადგას (ჩიგოგიძე, ხ., 11.04.2014., აბზ. 8).

ამავე სტატიაში განხილულია ნაადრევი ქორწინების დადებითი და უარყოფითი მხარეები. ავტორის თქმით, 15-16 წლის ასაკში ორგანიზმი ანატომიურად, ისევე, როგორც ფიზიოლოგიურად და ფსიქოლოგიურად არ არის ჩამოყალიბებული. ჩიგოგიძე ნაადრევი ქორწინების ერთადერთ დადებით მხარედ აღნიშნავს იმას, რომ ადამიანს მოწიფულ ასაკში შვილები უკვე წამოზრდილი ჰყავს ნაადრევად შექმნილი ოჯახის შემთხვევაში (ჩიგოგიძე, ხ., 11.04.2014, აბზ.9).

2013 წელს ადრეული ქორწინების საკითხებს მიუძღვნა პრესკონფერენცია სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა, სადაც აღნიშნა, რომ ბავშვთა ქორწინება ადრეულ ასაკში დღემდე გოგონათა უფლებების დაცვის სფეროში ერთ-ერთი მოუგვარებელი საკითხია (ნანუაშვილი, 2013). მნიშვნელოვანია საზოგადოებამ იმსჯელოს, რელიგიური თუ სოციალური შეხედულებებისა და ტრადიციების შეცვლის აუცილებლობის მიმართულებით, რათა თანაბრად იყოს გათვალისწინებული გოგონების ჭეშმარიტი ინტერესი და ადრეულ ასაკში იძულებითი ქორწინება აღქმული იქნეს, როგორც ძალადობა ქალის მიმართ. ადრეულ ასაკში ქორწინება არ გულისხმობს მხოლოდ კერძო პირებს შორის ურთიერთობებს, არამედ საკითხი საჯარო ინტერესის მატარებელია. აქედან გამომდინარე კი, სახალხო დამცველის აზრით, აუცილებელია საკითხს სათანადო ყურადღება დაეთმოს.

მეთოდოლოგია

რაოდენობრივი კვლევის ერთ-ერთი მეთოდის, გამოკითხვის, კერძოდ კი ანკეტირების შერჩევა განაპირობა, ერთი მხრივ, თავად მეთოდის მახასიათებლებმა, მეორე მხრივ, კვლევის მიზანმა და სოციალურმა პრობლემამ, რომელსაც ვიკვლევდი. ლია წულაძე თავის წიგნში „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“ გამოყოფს ანკეტირების ძლიერ მხარეებს. მისი თქმით, თვითადმინისტრირებადი კითხვარის ძლიერ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ მეთოდი არ მოითხოვს დიდ ხარჯებს, მკვლევარებს შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ კომპლექსური კითხვები, ასევე, გამომდინარე იქიდან, რომ რესპონდენტი თავად ავსებს კითხვარს, ინტერვიუერის გავლენა და სასურველობის ეფექტი არ არსებობს (წულაძე, 2008, გვ.19).

გენერალური ერთობლიობა მქონდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სტუდენტები და მათგან მარტივი შემთხვევითი შერჩევის გზით მოხდა სტუდენტების შერჩევა. აღნიშნული შერჩევით რესპონდენტებს გენერალური ერთობლიობიდან შერჩევით ერთობლიობაში მოხვედრის თანაბარი შანსი აქვთ (ნაჩმიასი, ჩ. ფ., ნაჩმიასი, დ., 2009, გვ.268).

გამოკითხული რესპონდენტების რაოდენობა იყო 90 სტუდენტი. მათ შორის 58 მდედრობითი სქესის წარმომადგენელი, 32 კი - მამრობითი. ასაკი მერყეობდა 18 წლიდან 25-ის ჩათვლით. გამოკითხულთა უმრავლესობის ასაკი 19 ან 20 წელია. რაც შეეხება რესპონდენტთა სწავლის მიმართულებებს, კვლევამ მოიცვა უნივერსიტეტის შვიდივე (ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბიზნესის, მედიცინისა და იურიდიული) ფაკულტეტი.

კვლევის ინსტრუმენტი - სტრუქტურირებული კითხვარი იყო. კითხვარის შემუშავების საწყის ეტაპზე გამოვყავი კონკრეტული ბლოკები. პირველი ბლოკი მოიცავდა ზოგად კითხვებს; მეორე ბლოკი მოიცავდა კითხვებს ნაადრევი ქორწინების მიზეზების შესახებ; მესამე ბლოკი მოიცავდა კითხვებს მოსალოდნელი შედეგების, პრობლემებისა და ზოგადი სტერეოტიპების შესახებ და ბოლო იყო დემოგრაფიული ბლოკი.

მას შემდეგ, რაც შევაგროვე მონაცემები, მოვახდინე კოდირება და მათი სისტემატიზაცია კომპიუტერულად, SPSS-ის საშუალებით.

კვლევის შეზღუდვა არის შერჩევის მცირე მოცულობა (კვლევის ფარგლებში გამოვკითხე მხოლოდ 90 სტუდენტი), შესაბამისად, რაოდენობრივი კვლევის მთავარ იარაღს - რეპრეზენტატულობას, ვერ გამოვიყენებ და მიღებულ შედეგებს ვერ განვაზოგადებთ გენერალურ ერთობლიობაზე.

შედეგები

გამოკითხულ სტუდენტთა 85,6% თვლის, რომ ნაადრევი ქორწინება არის სოციალური პრობლემა, რაც, რა თქმა უნდა, კვლავ მის მასშტაბებზე მეტყველებს. გამოკითხული გოგონების, ისევე, როგორც ვაჟების აბსოლუტური უმრავლესობა ასახელებს 18 წელს იმ ასაკად, რომლის ქვემოთ ოჯახის შექმნა არასწორი და ნაადრევია. აღნიშნული, სავარაუდოდ, უნდა აიხსნას იმ გარემოებაზე დაყრდნობით, რომ გამოკითხულნი იყვნენ სრულწლოვანი, ბაკალავრიატის სტუდენტები, რომლებიც უკვე ფლობენ გარკვეული სახის ზოგად განათლებასა და ინფორმირებულობას, შესაბამისად, მათი აზრით, მინიმალური ასაკი, როდესაც ადამიანმა უნდა შექმნას ოჯახი, არის სრულწლოვანობის მიღწევა, 18 წელი.

გამოკითხული სტუდენტების 11,1% ფიქრობს, რომ ნაადრევი ქორწინება საერთოდ არაა მდგრადი, 76,7%-ის აზრით უფრო არამდგრადია, ვიდრე მდგრადი, 12,2% კი მიიჩნევს, რომ ნაადრევი ქორწინება არც მდგრადია და არც არა მდგრადი. აღნიშნულ შედეგებზე დაყრდნობით, ცალსახაა, რომ სტუდენტები ნეგატიურად არიან ნაადრევი ქორწინებისადმი განწყობილნი.

მაპროვოცირებელი მიზეზები

კვლევის ფარგლებში, რესპონდენტების მიერ დაფიქსირდა სამი მთავარი ფაქტორი, რომლებიც აუცილებელია გოგონების ქორწინებისთვის: გამოკითხულ მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა აზრით, უმნიშვნელოვანესია ფსიქოლოგიური მზადყოფნა (41,4%), ბიოლოგიური მზადყოფნა (15,5%) და გარკვეული, საბაზისო განათლების მიღება (13,8%). რაც შეეხება მათ დამოკიდებულებას ვაჟების ქორწინების მიმართ, მდედრობითი სქესის წარმომადგენლები თვლიან, რომ იმისთვის, რომ ბიჭმა შექმნას ოჯახი, აუცილებელია ჰქონდეს სტაბილური შემოსავალი (6,2%) და, ამასთანავე, მზად იყოს ქორწინებისთვის როგორც ფსიქოლოგიურად (29,3%), ისე ბიოლოგიურად (25,9%). სტაბილური შემოსავალი, როგორც ოჯახის შექმნისათვის მნიშვნელოვანი წინაპირობა უფრო მეტად ვლიდნება ვაჟებთან, რაც მიგვითითებს სტუდენტებში არსებულ სტერეოტიპულ განწყობაზე, რომ ოჯახი აუცილებლად მამაკაცმა უნდა არჩინოს და მთავარი შემომტანიც სწორედ მამრობითი სქესის წარმომადგენელი უნდა იყოს.

რაც შეეხება, უშუალოდ ნაადრევი ქორწინების მაპროვოცირებელ მიზეზებს, გამოკითხულ გოგონათა აბსოლუტური უმრავლესობა ასახელებს ნაადრევი ქორწინების სამ მიზეზს: მშობლების კონტროლისგან გაქცევის სურვილი, სექსუალური ცხოვრების დაწყების სურვილი და აღმსარებლობა. მიზეზები კი, რომლებიც ვაჟებისთვისაა ნაადრევი ქორწინების მაპროვოცირებელი, შემდეგია: პარტნიორის ფეხმძიმობა (25,9%), ქალიშვილობის ინსტიტუტის არსებობა (15,5%) და სიყვარულის პოვნა (5,2%). ამ უკანასკნელი მიზეზების ახსნა ქართული რეალობიდან გამომდინარე, მარტივია. საქართველოში 21-ე საუკუნეშიც კი მიუღებლად რჩება ქორწინებამდე სექსუალური ურთიერთობა პარტნიორებს შორის და თუ ახალგაზრდებს მაინც ექნებათ სექსუალური კავშირი, ისინი აუცილებლად უნდა დაქორწინდნენ ან გოგონა ადვილად გახდება სტიგმატიზაციის მსხვერპლი.

გამოკითხულ მამაკაცთა 34,4%-ის აზრით, გოგონების ნაადრევად ქორწინების მაპროვოცირებელი მიზეზი მშობლების კონტროლისგან გაქცევის სურვილია, 21,9%-თვის - ტრადიციები, 18,8%-ისთვის კი - სექსუალური ცხოვრების დაწყების სურვილი. აღნიშნული რესპონდენტები ასევე აღნიშნავენ მაპროვოცირებელ მიზეზებს, რომლებიც უბიძგებენ ვაჟებს, ნაადრევად შექმნან ოჯახი. მათი 43,8% ფიქრობს, რომ ვაჟი იმ შემთხვევაში ქმნის ოჯახს ნაადრევად, თუ იპოვის ჭეშმარიტ სიყვარულს, 18,8% მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია ტრადიციების გავლენა და 12,5% ვაჟებისთვის ნაადრევად ოჯახის შექმნის მაპროვოცირებელ მიზეზად ასახელებს პარტნიორის ფეხმძიმობას.

მოლოდინები

გამოკითხულთა 83,3% ფიქრობს, რომ ნაადრევმა ქორწინებამ შესაძლოა გამოიწვიოს ფიზიოლოგიური პრობლემები. სტუდენტები ასახელებენ კონკრეტულ ფიზიოლოგიურ პრობლემებს, რომლებსაც, მათი აზრით, იწვევს ნაადრევი ქორწინება და ეს პრობლემებია: ნერვული აშლილობა, ნაადრევი სიბერე და, ამასთანავე, პრობლემები ორსულობისას.

შეკითხვაზე შეიძლება თუ არა ნაადრევმა ქორწინებამ გამოიწვიოს სოციალური პრობლემები, გამოკითხულთა 83,3% ამბობს, რომ დიახ, შეიძლება, 5,6% კი არ ეთანხმება. გამოკითხული რესპონდენტები ასახელებენ იმ სოციალურ პრობლემებს, რომლებიც შესაძლოა გამოიწვიოს ნაადრევმა ქორწინებამ და ეს პრობლემებია: განათლებისთვის თავის დანებება (55,6%), დასაქმების პრობლემა (3,3%) და საზოგადოებასთან გაუცხოება (17,8%).

შეიძლება თუ არა ნაადრევმა ქორწინებამ გამოიწვიოს ფსიქოლოგიური პრობლემები? ფიქსირდება, რომ გამოკითხულთა 94,4%% ამბობს: დიახ, შეიძლება, 3,3% არ ეთანხმება აღნიშნულს, ხოლო 2,2%-ს უჭირს პასუხის გაცემა. გამოკითხული რესპონდენტები ასახელებენ ფსიქოლოგიურ პრობლემებს, რომლებიც შესაძლოა გამოიწვიოს ნაადრევმა ქორწინებამ და ეს პრობლემებია: დეპრესია (60%), სინანულის განცდა (28,9%) და არასრულფასოვნების კომპლექსი (3,3%).

გამოკითხულები ფიქრობენ, რომ გოგონას, რომელიც ნაადრევად ქმნის ოჯახს, ხელი ეშლება განათლების მიღებაში (83,3%), თვითრეალიზაციასა (10%) და პროფესიულ განვითარებაში (3,3%) და ამ ყველაფერს ამატებენ მეგობრებთან ურთიერთობასა და კომუნიკაციას ძველ ნაცნობებთან.

სტუდენტები ფიქრობენ, რომ ბიჭს, რომელიც ნაადრევად ქმნის ოჯახს, ხელი ეშლება განათლების მიღებაში (61,1%), პროფესიულ განვითარებასა (13,3%) და მეგობრებთან ურთიერთობაში (14,4%).

სტერეოტიპული დამოკიდებულებები

გამოკითხულ სტუდენტთა 81,6% ეთანხმება გავრცელებულ აზრს, რომ *ნაადრევი ქორწინება ადრეულად დასრულებული ბავშვობის ტოლფასია* და როგორც უკვე აღვნიშნე, სტუდენტების აზრით, ნაადრევმა ქორწინებამ შესაძლოა გამოიწვიოს ფსიქოლოგიური, სოციალური, ფიზიოლოგიური და სხვა სახის პრობლემები.

ქართულ საზოგადოებაში გავრცელებულია აზრი, რომ *გოგონა მალევე უნდა ჩაბარდეს პატრონს,* თუმცა ამ დებულებას კვლევის ფარგლებში გამოკითხულ სტუდენტთა 80% საერთოდ არ ეთანხმება; სტუდენტების 18,9% იზიარებს აღნიშნულ მოსაზრებას. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საზოგადოებაში გავრცელებული აზრი და სტუდენტთა დამოკიდებულება მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან.

გამოკითხულ სტუდენტთა 78,9% არ ეთანხმება აზრს, რომ *ნაადრევი სიკვდილის გარდა ყველაფერი კარგია,* და ასევე, 78,9% ეწინააღმდეგება აზრს: *გოგონა იმისთვისაა, რომ გათხოვდეს.* რესპონდენტების 74,4%-ის აზრით, ნაადრევი ქორწინება თვითრეალიზაციას უშლის ხელს. როგორც წესი, ნაადრევი ქორწინება განათლების დაბალი დონის მქონე ფენებში უფრო გავრცელებულია. განათლების დონე კი პირდაპირ კავშირშია თვითრეალიზაციასთან.

დასკვნა

კვლევის საფუძველზე გამოვლინდა, რომ გამოკითხული სტუდენტებისთვის მიუღებელია ნაადრევი ქორწინება, რადგან ისინი აცნობიერებენ ნაადრევი ქორწინების თანმდევ პრობლემებსა თუ მოსალოდნელ შედეგებს. მათი აბსოლუტური უმრავლესობა თვლის, რომ ნაადრევი ქორწინება არ არის მდგრადი. სტუდენტთა შეფასება გამოწვეულია მათი განათლების დონით და რეალობის კრიტიკული აღქმით. ხშირ შემთხვევაში, ნაადრევი ქორწინების უარყოფითი შედეგები სტუდენტებს კარგად არ აქვთ გააზრებული და მიუხედავად იმისა, რომ მათ არ მოსწონთ და თავად ნაადრევად არ შექმნიდნენ ოჯახს, დამაჯერებლად ვერ ხსნიან, თუ რატომ.

გამოკითხული სტუდენტების აზრით, ძირითადი მაპროვოცირებელი მიზეზები, რომლებიც უბიძგებს გოგონას/ვაჟს ადრეულ ასაკში ოჯახის შექმნისკენ, შემდეგია: მშობლების კონტროლისგან გაქცევის სურვილი, ტრადიციები, აღმსარებლობა, ნამდვილი სიყვარულის პოვნა, პარტნიორის ფეხმძიმობა, სექსუალური ცხოვრების დაწყების სურვილი და ქალიშვილობის ინსტიტუტი.

რაც შეეხება საკითხს, თუ რამდენად ხელისშემშლელია ნაადრევი ქორწინება გოგონებისთვის ან ბიჭებისთვის, პასუხები შემდეგნაირად ჯამდება: გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა თანხმდება, რომ გოგონებს ხელი ეშლებათ განვითარებასა და თვითრეალიზაციაში, ისევე, როგორც კომუნიკაციაში მეგობრებთან, განსხვავებით ბიჭებისგან, რომლებსაც ეშლებათ ხელი განვითარებაში, თუმცა არა იმ ხარისხით, როგორც გოგონებს.

სტუდენტების აზრით, სრულიად შესაძლებელია, რომ ნაადრევმა ქორწინებამ გამოიწვიოს ფიზიოლოგიური, სოციალური, ფსიქოლოგიური და სხვა სახის პრობლემები. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ისეთ პრობლემებს, როგორებიცაა: ნერვული აშლილობა, პრობლემები ორსულობისას, დეპრესია, საგანმანათლებლო პროცესის შეწყვეტა, საზოგადოებისგან გაუცხოება, სტიგმატიზაცია.

ხელმძღვანელი: მარიამ ქობალია, მოწვეული ლექტორი, სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის დეპარტამენტი

ბიბლიოგრაფია

1. ერაძე, ე., (2013). *ნაადრევად შექმნილი ოჯახი, ანუ გაერო ქართული ტრადიციების წინააღმდეგ* (აბზ.6).
2. ნანუაშვილი, უ., (2013). *ადრეული ქორწინების პრევენცია გენდერული თანასწორობისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ხელშეწყობისათვის.* (აბზ.3-8).
3. ნოზაძე, თ., (2013). *ნაადრევი ქორწინების მიზეზი და შედეგები* (აბზ.2).
4. ჟურნალისტთა ქსელი გენდერული თანასწორობისთვის, (2015). *ნაადრევი ქორწინება - სოციალური ინტეგრაციის შემაფერხებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა* (აბზ. 1-4).
5. შევარდნაძე, ე., (1997). საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. თბილისი: საქართველოს პარლამენტის უწყებანი N31.
6. ჩიგოგიძე, ხ., (2014). *ნაადრევი ქორწინება და 10 ძროხაზე გაცვლილი ქალიშვილი* (აბზ.8).
7. ხარშილაძე, ნ., (2014). *ნაადრევი ქორწინება ქართულად* (აბზ.3).